## განმარტებითი ბარათი

## ,,გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ საქართველოს კანონის პროექტზე

### ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

### ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ორგანოები მოკლებულნი არიან სამართლებრივ შესაძლებლობას შესაბამისი ბიუჯეტიდან გასცენ მიზნობრივი სახსრები გრანტის სახით. აღნიშნული უფლებამოსილების მინიჭების შემთხვევაში, მითითებულ დაწესებულებებს ექმნებათ უკეთესი შესაძლებელობა, გასცენ მიზნობრივი სახსრები ფულადი ან ნატურალური ფორმით, რომელიც თავის მხრივ ხელს შეუწყობს ავტონომიური რესპუბლიკის მიერ კონკრეტული ჰუმანური, საგანმანათლებლო, სამეცნიერო-კვლევითი, ჯანმრთელობის დაცვის, კულტურული, სპორტული, ეკოლოგიური, სასოფლო-სამეურნეო განვითარებისა და სოციალური პროექტების, აგრეთვე სახელმწიფოებრივი ან საზოგადოებრივი მნიშვნელობის პროგრამების განხორციელებას.

,,გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტი განსაზღვრავს გრანტის გაცემის უფლებამოსილების მქონე სუბიექტთა წრეს. აღნიშნული ნორმით დადგენილი ჩამონათვალი არ ითვალისწინებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამინისტროების შესახებ მითითებას, აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია ,,გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონმა მოიცვას აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამინისტროების მიერ გრანტის გაცემის შესაძლებლობა.

### ა.ბ) კანონპროექტის მიზანი

კანონპროექტის მიზანია ,,გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანა, რომლის შესაბამისად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამინისტროებს მიენიჭებათ გრანტის გაცემის უფლებამოსილება, რაც ხელს შეუწყობს ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე კონკრეტული ჰუმანური, საგანმანათლებლო, სამეცნიერო-კვლევითი, ჯანმრთელობის დაცვის, კულტურული, სპორტული, ეკოლოგიური, სასოფლო-სამეურნეო განვითარებისა და სოციალური პროექტების, აგრეთვე სახელმწიფოებრივი ან საზოგადოებრივი მნიშვნელობის პროგრამების უკეთ განხორციელებას.

### ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი

კანონპროექტით გათვალისწინებულია ,,გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ,,დ“ ქვეპუნქტის ახალი რედაქციით ჩამოყალიბება, რომლის თანახმად, გრანტის გაცემის უფლებამოსილება ეძლევა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამინისტროებსაც. ამასთან, იცვლება მე-3 მუხლის მე-2 პუნქტი და ყალიბდება ახალი რედაქციით, რომლის თანახმადაც - ,,2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში გრანტის გაცემის შესახებ დოკუმენტის პროექტს მის გაფორმებამდე საქართველოს შესაბამისი სამინისტრო განსახილველად წარუდგენს საქართველოს მთავრობას,

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესაბამისი სამინისტრო - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას, გრანტის გაცემის მიზნის, გრანტის მოცულობისა და სახსრების გამოყენების კონკრეტული მიმართულების წინასწარი შეფასებისათვის, საქართველოს მთავრობის/აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სამართლებრივი აქტით დადგენილ შემთხვევებში და დადგენილი წესით.''.

**ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:**

**ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო**

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს ბიუჯეტიდან სახსრების გამოყოფას.

**ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე**

კანონპროექტის მიღება საშემოსავლო ნაწილზე გავლენას არ მოახდენს.

**ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე**

კანონპროექტის მიღება არ მოახდენს გავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

**ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები**

კანონპროექტის მიღება არ წარმოშობს სახელმწიფოს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

**ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება**

კანონპროექტი არ იქონიებს ფინანსურ შედეგებს იმ პირებზე, რომლებზედაც ვრცელდება კანონი.

**ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი)**

კანონპროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესს.

**გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:**

**გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან**

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

**გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან**

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

**გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან**

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ვალდებულებებს.

**დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:**

**დ.ა) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია (დაწესებულება), ექსპერტი, ასეთის არსებობის შემთხვევაში**

არ არსებობს.

**დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში**

არ არსებობს.

**ე) კანონპროექტის ავტორი**
საქართველოს პარლამენტის წევრი ფატი ხალვაში

**ვ) კანონპროექტის ინიციატორი**
საქართველოს პარლამენტის წევრი ფატი ხალვაში